დამტკიცებულია ა(ა)იპ
კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
„1“ დეკემბერი 2020 წ. N01-4/117 (ცვლ: ბრძ.N01-4/57
02.05.2024)ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე
აპლიკანტთა რეგისტრაციისა და შერჩევის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის და ჩარიცხვის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების, მსმენელთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესსა და პირობებს.
2. წინამდებარე წესი ვრცელდება დაწესებულების პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების ყველა პროგრამაზე.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა).
2. კოლეჯი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.
ა) ღია რეგისტრაცია - ღია რეგისტრაციისას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
ბ) დახურული რეგისტრაცია - დახურული რეგისტრაციისას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია შეუძლია კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან საჯარო დაწესებულებასთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა ღია ან დახურული რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში მიეთითება:
ა) კოლეჯის სახელწოდება/სამართლებრივი ფორმა/საიდენტიფიკაციო კოდი;
ბ) კოლეჯის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
გ) კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/ გადამზადება);
ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვა);
თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;

კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;
ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);
მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
ჟ) პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
ს) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს კოლეჯი.
5. კოლეჯი უფლებამოსილია, ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია, შეცვალოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია
1. კოლეჯის მიერ, რეგისტრაციის ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მიზნობრივი ჯგუფისთვის.
2. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისთვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
3. აპლიკანტს ან კოლეჯს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:
ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.
4. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და განუსაზღვროს ვადა აღნიშნულის წარსადგენად.

5. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.
6. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას.
7. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევის მიზანი და ფორმები

1. აპლიკანტთა შერჩევის მიზანია:
ა) აპლიკანტის შესაბამისობის დადგენა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან;
ბ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში საუკეთესო აპლიკანტების შერჩევა.

2. აპლიკანტთა შერჩევა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.
2. კოლეჯი შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურისა და ვადების შესახებ. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესახებ აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ზრდასრულთა განათლების კორდინატორი.
3. კონკურსის შედეგების საფუძველზე განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლების უფლებას და მიიღებენ მსმენელის სტატუსს.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელიც რეგისტრირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სპეციალურ ვებგვერდზე ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობას ღებულობს აპლიკანტი, რომელიც რეგისტრირებულია კოლეჯის შესაბამის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების ფორმა და პირობები

1. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფორმაა გასაუბრება.
2. გასაუბრება ტარდება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ადგილას.
3. აპლიკანტებთან გასაუბრების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისგან.
4. იმ შემთხვევაში, თუ გასაუბრების შინაარსი მოიცავს დარგობრივი ცოდნის ან/და პროფესიული ცოდნის შემოწმებას, კოლეჯი კომისიის წევრად განსაზღვრაბს შესაბამისი დარგობრივი ცოდნის მქონე პირს.
5. კოლეჯი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში საკონკურსო კომისიის წევრად განსაზღვრავს მისი პარტნიორი სამეწარმეო იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს, ასევე, დახურული რეგისტრაციის შემთხვევაში დამკვეთის წარმომადგენელს.

6. კომისია უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შემოწმებასა და კონკურსის ჩატარებას.

7. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადას და კონკურსის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. კომისიის მიერ აპლიკანტთა შეფასება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმებით.

9.აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 15 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 5 ქულა

10.კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში ან/და სამისოდ გამოყოფილ გარემოში (პარტნიორთან შეთანხმებით) გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე არ დაიშვება.

11. აპლიკანტს ქულათა სისტემის საშუალებით აფასებს კომისიის თითოეული წევრი.

12. გასაუბრებაში აპლიკანტის ჯამური ქულის გამოთვლის მიზნით კომისიის თითოეული წევრის მიერ აპლიკანტისთვის მინიჭებული ქულები ჯამდება და იყოფა კომისიის წევრების რაოდენობაზე.

13. გასაუბრების შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების ფორმაში (დანართი N1) და შესარჩევი კონკურსისათვის აპლიკანტთან გასაუბრების საბოლოო შეფასების ფორმაში (დანართი N2)

14. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების შეჯამება, საუკეთესო მაჩვენებლის მქონე აპლიკანტების გამოვლენა (აპლიკანტების რანჟირება) და შესაბამის კომისიის ოქმში ასახვა, რომელსაც თან ერთვის აპლიკანტების შეფასების ფურცლი.

15. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

16. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის რომელიმე წევრი.

17. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თვითეული წევრი.

18.კონკურსის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 7. მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისათვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

3. შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

4. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. კოლეჯი ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუტის მინიჭებას, ხელშეკრულების გაფორმებას და ელექტრონულ სისტემაში ასახვას უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

2. აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

3. საპრეტენზიო კომისიის წევრად არ შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელიც იყო აპლიკანტთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრი.

4. პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა

5. საპრეტენზიო კომისია განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში.

6. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის სხვა რომელიმე წევრი.

8. საპრეტენზიო კომისიის სხდომის შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თითოეული წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 9. აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტების შენახვა

კოლეჯი აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ამსახველი ამ წესით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტს ინახავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ვადით.

მუხლი 10. მსმენელის პირადი საქმე

1. მსმენელის პირადი საქმე მოიცავს:

ა) მის მიერ ჩარიცხვისას წარდგენილ ყველა დოკუმენტს;

ბ) ხელშეკრულებას;

გ) მსმენელთან დაკავშირებით გამოცემულ ყველა სამართლებრივი აქტის/ბრძანების ასლს;

დ) კოლეჯის მიერ მსმენელზე გაცემული სერტიფიკატის ასლს;

ე) სხვა დოკუმენტს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.

2. მსმენელის პირად საქმეს აწარმოებს კოლეჯის საქმისმწარმოებელი

3. მსმენელის პირადი საქმე, პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ შენახვის მიზნით გადაეცემა კოლეჯის არქივს.

დანართი N1

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

„-----„ ---------- --------- წ.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე

შესარჩევი კონკურსისათვის აპლიკანტთან გასაუბრების შეფასების ფორმა გასაუბრების მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა.

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 3 ქულა

აპლიკანტის სახელი გვარი ----------

N	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდი	ქულა			
			ძალიან კარგი (3 ქულა)	კარგი (2 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	არადამაკმაყოფილებელი (0 ქულა)
1	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	გასაუბრება				
2	მზაობა ფიზიკური შრომისათვის	გასაუბრება				
3	ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით	გასაუბრება				
4	თვითპრეზენტაცია და კომუნიკაცია	გასაუბრება				
5	პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან გამოცდილება	გასაუბრება				
	სულ ქულათა ჯამი					

კომისიის წევრი:

დანართი N2

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

„-----„ ---------- --------- წ.

შესარჩევი კონკურსისათვის აპლიკანტთან გასაუბრების საბოლოო შეფასების ფორმა

გასაუბრების მაქსიმალური შეფასება -15 ქულა.

№	აპლიკანტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მოტივაცია (ინტერესი	მზაობა ფიზიკური	ხედვა გუნდურ მუშაობასთან	თვითპრეზენტაცია და კომუნიკაცია	პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან	ქულათა ჯამი
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 3 ქულა:

ძალიან კარგი - 3 ქულა

კარგი - 2 ქულა

დამაკმაყოფილებელი - 1 ქულა

არადამაკმაყოფილებელი - 0 ქულა

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები: